

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 4 6 0

ქ. ბათუმი, 24 ივნისი 2015 წ

სკულპტურული კომპოზიცია - „ტურისტი“-ს
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბალანსზე
აყვანის შესახებ

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს (შემდგომში - „სამინისტრო“) მიერ 2014 წლის 10 ოქტომბრის N05/08-4932 წერილით (მერიაში რეგ/№24616/25, 17.10.2014წ) განსახილველად გამოეგზავნა შპს „არტ სტუდია - DOTCOMMA“-ს დირექტორის განცხადება ქ. ბათუმის შემოსასვლელში არსებული ქანდაკების - „ტურისტი“-ს რესტავრაციასთან დაკავშირებით, რომლის პასუხად სამინისტროს ეცნობა, რომ აღნიშნული ქანდაკების მონტაჟი არ მომხდარა ბათუმის მერიის დაკვეთით და იგი არ ირიცხებოდა მუნიციპალიტეტის ბალანსზე, შესაბამისად ქანდაკების სარესტავრაციო სამუშაოებს ბათუმის მერია ვერ განახორციელებდა. ბათუმის მერიაში სამინისტროს მიერ 2015 წლის 06 იანვარს წარმოდგენილი N03/09-6318 წერილის (მერიაში რეგ/№150/25) თანახმად, მითითებული სკულპტურა ქობულეთი-ბათუმის დამაკავშირებელ გვირაბთან დაიდგა საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 26 ოქტომბრის №2016 განკარგულების საფუძველზე, იგი არ იმყოფება სამინისტროს ბალანსზე და ტერიტორიული ნიშნით ექვემდებარება ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალიტეტის) ბალანსზე აყვანას.

გამომდინარე იქედან, რომ სკულპტურა განთავსებულია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, იგი არ ირიცხება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ბალანსზე და მისი დამზადება საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით განხორციელდა ხსენებულ ტერიტორიაზე განსათავსებლად, მიზანშეწონილია სკულპტურა (დამზადებული რკინის მილის კონფიგურაციით, მთლიანი ფიგურა ჩამაგრებულია მიწაში რკინა-ბეტონის ფუნდამენტით), მისი მოვლა-პატრონობის მიზნით, ამჟამინდელი ღირებულებით აყვანილ იქნას ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბალანსზე.

ინდივიდუალური აუდიტორის დავით რობაქიძის მიერ 2015 წლის 07 მაისს მომზადებული N027/1-0დ.რ. აუდიტის დაკვნის შესაბამისად, ქობულეთი-ბათუმის დამაკავშირებელი გვირაბის თავზე განთავსებული სკულპტურის - „ტურისტი“-ს ამჟამინდელი ღირებულება შეადგენს 1000,0 (ერთი ათასი) ლარს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი პუნქტის, 106-ე მუხლისა და სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. აყვანილ იქნას ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბალანსზე ქობულეთი-ბათუმის დამაკავშირებელი გვირაბის თავზე განთავსებული, 1000,0 (ერთი ათასი) ლარის ღირებულების სკულპტურული კომპოზიცია - „ტურისტი“.

2. დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკურ სამსახურს საბუღალტრო მონაცემებში შესაბამისი ჩანაწერების განხორციელება.

3. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

4. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი